ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4432770

ნომერი: AR1670012

თარიღი : 22.03.2019

გაცემის თარიღი : 01.04.2019

გაცნობის თარიღი : 10.04.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეფე მირიანის ქუჩა N22; ქალაქი თბილისი , მეფე მირიანის ქუჩა N22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან მელაძე პ/ნ 62002003575
- სოხუმი მშვიდობის გამზ. N 210

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- მიშენება ან მიშენება - დაშენება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა, სამრეცხაო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან მელაძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საპროექტო მიწის ნაკვეთზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა.

საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1) და საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)-ში, მოქმდი კანონმდებლობის შესაბამისად, ავტოსამრეცხაოს განთავსების საკითხი საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. აქედან გამომდინარე, თავდაპირველად საჭიროა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს და განაცხადი ატვირთოთ ოფიციალურ პორტალზე - Urban.tbilisi.gov.ge, შესაბამის ნომენკლატურაში. ხოლო, საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 3 (სსზ–3)-ში აღნიშნული ფუნქციის შენობა-ნაგებობის განთავსება დასაშვები არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.